

სს "მეტრო ჯორჯია"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
აუდიტორის ანგარიშგებასთან ერთად

შინაარსი

აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგება	
ბალანსი	6
მოგება-ზარალის ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ	11
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	12-28

დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა სს „მეტრო ჯორჯია“-ს აქციონერებს

ჩვენ მოვახდინეთ სს „მეტრო ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მითითებული თარიღისთვის დასრულებული წლისთვის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას სს „მეტრო ჯორჯია“-ს 2017 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი კონსოლიდირებული ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ სს „მეტრო ჯორჯია“-სგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას.

ძირითადი საკითხი - კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ტურისტული სააგენტოებით, სამოგზაურო ბიუროებით, საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტით მომსახურება. მოცულობით ბევრი ტრანზაქციების გამო, რომელიც ხორციელდება უწყვეტი რეჟიმით, აუდიტორებისას მნიშვნელოვანი საკითხად დავაყენეთ კომპანიის მიერ დადგენილი პოლიტიკა შემოსავლის აღიარების სისტემის შესახებ.

როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში

- შევაფასეთ შემოსავლის აღიარების სისტემა;
- ჩავატარეთ ძირითადი ტესტირება, მათ შორის სალაროს ინვენტარიზაცია;
- შევამოწმეთ შემოსავლების აღიარების პროცესის შესაბამისი მნიშვნელოვანი შიდა კონტროლი;

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორული დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხვრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნული ნაერთი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებასა და ზუსტად წარმოდგენაზე ეკისრება მენეჯმენტს. ხსენებული პასუხისმგებლობა ითვალისწინებს: ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან და ზუსტად წარმოდგენასთან დაკავშირებით შიდა კონტროლის დაგეგმვას, განხორციელებასა და უზრუნველყოფას იმგვარად, რომ მათში არ იყოს მნიშვნელოვანი უზუსტობები თაღლითობისა და შეცდომის გამო, ამასთან სათანადო სააღრიცხვო მეთოდების შერჩევას და გამოყენებას და არსებულ პირობებში სათანადო ბუღალტრული შეფასებების წარმოდგენას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერვე განხორციელებული აუდიტის საფუძველზე გავაკეთოთ დასკვნა აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი განვახორციელეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით მოითხოვება, რომ დავიცვათ ეთიკური მოთხოვნები და გეგმა და აუდიტი ჩავატაროთ დასაბუთებული რწმუნების მოპოვების მიზნით იმის თაობაზე, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის რაიმე სახის არსებითი უზუსტობა.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „ჯგუფის“ შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „ჯგუფის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგავარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შეეცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „ჯგუფი“ შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- ვიღებთ შესაბამის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას „ჯგუფის“ შიგნით არსებული კომპანიების ან ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ აზრი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის და ვადების მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.	სხვებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი კონტროლის სიტემაში გამოვლენილი
---	---

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორი არის მათა ფეიქრიშვილი.

მაია ფეიქრიშვილი

შპს "პრესტიჟ-აუდიტო"

2018 წლის 18 ივნისი



სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2017	2016	2015
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	4,001,504	6,555,162	5,481,297
გრძელვადიანი ინვესტიციები	1	1,100,000	1,166,052	1,100,000
არამატერიალური აქტივები		40,011	42,408	1,717
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,141,515	7,763,622	6,583,014
მიმდინარე აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
დებიტორული დავალიანება და ავანსები	2	2,156,148	1,006,150	1,157,634
მარაგები	3	858,229	775,896	52,375
ზედმეტად გადახდილი გადასახადები		11,928	8,788	230,203
ფულადი სახსრები და მათი ექვი.	4	760,702	865,383	245,337
გაცემული სესხი	2	53237	268,895	
სულ მიმდინარე აქტივები		3,840,244	2,925,112	1,685,549
სულ აქტივები		8,981,760	10,688,734	8,268,563
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	7	2,583,102	2,583,102	2,583,102
გაუნაწილებელი მოგება			264,832	(256,959)
საანგარიშო წლის მოგება/ზარალი	8	864,908	468,014	521,791
სულ კაპიტალი		3,448,010	3,315,948	2,847,934
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	5,372,130	6,805,217	5,419,429
გადავადებული შემოსავალი	8	24,649		
გადასახდელი ხელფასი	5	23,828	183,331	1,200

სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)


საგადასახადო ვალდებულება	113,143	90,731	
საპროცენტო ვალდებულება	6	2,798	
მოკლევადიანი სესხი	6	290,708	
სულ ვალდებულებები	5,533,750	7,372,785	5,420,629
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	8,981,760	10,688,734	8,268,563


დირექტორები

მიხეილ დობორჯგინიძე

რობერტ ფერდმანი

10 ივნისი 2018 წელი


მთავარი ბუღალტერი
ირაკლი ზაქარაძე

სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2017	2016
ამონაგები		29,617,019	14,773,365
პირდაპირი ხარჯები		(11,473,566)	(5,258,601)
მთლიანი მოგება		18,143,453	9,514,764
კომერციული ხარჯი		(81,290)	(40,363)
ადმინისტრაციული ხარჯი		(17,798,718)	(9,105,679)
ფინანსური შემოსავალი		3,364,981	776,405
ფინანსური ხარჯი		(856,690)	(566,060)
განსაკუთრებული ხარჯები		(2,583)	(111,053)
არასაოპერაციო მოგება/ზარალი			
საანგარიშო წლის მოგება	8	2,769,153	468,015


დირექტორები



მიხეილ დობორჯგინიძე

რობერტ ფერდმანი

10 ივნისი 2018 წელი


მთავარი ბუღალტერი

ირაკლი ზაქარაძე

სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		27,904,254	14,209,293
მიღებულია ავანსები		1,476,883	244,349
გადახდილი ავანსები		(1,051,137)	-796,875
მიღებულია დებიტორებისგან		10,476,283	8,685,918
გაცემულია ანგარიშვალდებულ პირებზე		(1,628,347)	(394,632)
გაცემულია მომწოდებლებზე		(28,724,066)	(16,523,792)
გადახდილი გადასახადები		(602,800)	(48,059)
გადახდილია ხელფასები		(388,074)	(36,855)
გაწეული ხარჯი		(8,749,248)	(5,051,039)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(1,286,252)	288,308
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შვილობილი საწარმოს შეძენა			(66,052)
გაცემულია სესხი		(20,430)	
მიღებული პროცენტი		8,605	2,091
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(11,825.00)	(63,961.00)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხი		275,374	319,603
დაფარულია სესხი		(298,823)	
დაფარულია პროცენტი		(4,608)	
გადახდილი დივიდენდი		(2,616,440)	
მიღებული დივიდენდი		1,816,440.00	

სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(828,057)	319,603
არასაოპერაციო შემოსავალი	2407958	152,420
საკურსო სხვაობის ხარჯი	(386,504)	(76,324)
სავალუტო კურისის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მის ექვივალენტებზე	2,021,454	76,096
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ექვივალენტებში	(104,680)	620,046
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	865,383	245,338
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	760,703	865,383



დირექტორები

მიხეილ დობორჯგინიძე

რობერტ ფერდმანი

10 ივნისი 2018 წელი



მთავარი ბუღალტერი

ირაკლი ზაქარაძე

სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

კონსოლიდირებული ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ

შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,583,102	264,832	2,847,934
2016 წლის მოგება		468,014	468,014
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,583,102	732,847	3,315,949
2017 წლის მოგება		2,769,153	2,769,153
დივიდენდები		(2,637,092)	(2,637,092)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7 2,583,102	864,908	3,448,010


დირექტორები

მიხეილ დობორჯგინიძე

რობერტ ფერდმანი

10 ივნისი 2018 წელი


მთავარი ბუღალტერი

ირაკლი ზაქარაძე

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2017	2016	2015
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	4,001,504	6,555,162	5,481,297
გრძელვადიანი ინვესტიციები	1	1,100,000	1,166,052	1,100,000
არამატერიალური აქტივები		40,011	42,408	1,717
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,141,515	7,763,622	6,583,014
მიმდინარე აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
დებიტორული დავალიანება და ავანსები	2	2,156,148	1,006,150	1,157,634
მარაგები	3	858,229	775,896	52,375
ზედმეტად გადახდილი გადასახადები		11,928	8,788	230,203
ფულადი სახსრები და მათი ექვი.	4	760,702	865,383	245,337
გაცემული სესხი	2	53237	268,895	
სულ მიმდინარე აქტივები		3,840,244	2,925,112	1,685,549
სულ აქტივები		8,981,760	10,688,734	8,268,563
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	7	2,583,102	2,583,102	2,583,102
გაუნაწილებელი მოგება			264,832	(256,959)
საანგარიშო წლის მოგება/ზარალი	8	864,908	468,014	521,791
სულ კაპიტალი		3,448,010	3,315,948	2,847,934
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	5,372,130	6,805,217	5,419,429
გადავადებული შემოსავალი	8	24,649		
გადასახდელი ხელფასი	5	23,828	183,331	1,200

სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

საგადასახადო ვალდებულება	113,143	90,731	
საპროცენტო ვალდებულება	6	2,798	
მოკლევადიანი სესხი	6	290,708	
სულ ვალდებულებები	5,533,750	7,372,785	5,420,629
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	8,981,760	10,688,734	8,268,563

დირექტორები

მთავარი ბუღალტერი

მიხეილ დობორჯგინიძე

ირაკლი ზაქარაძე

რობერტ ფერდმანი

10 ივნისი 2018 წელი

სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2017	2016
ამონაგები		29,617,019	14,773,365
პირდაპირი ხარჯები		(11,473,566)	(5,258,601)
მთლიანი მოგება		18,143,453	9,514,764
კომერციული ხარჯი		(81,290)	(40,363)
ადმინისტრაციული ხარჯი		(17,798,718)	(9,105,679)
ფინანსური შემოსავალი		3,364,981	776,405
ფინანსური ხარჯი		(856,690)	(566,060)
განსაკუთრებული ხარჯები		(2,583)	(111,053)
არასაოპერაციო მოგება/ზარალი			
საანგარიშო წლის მოგება	8	2,769,153	468,015

დირექტორები

მთავარი ბუღალტერი

მიხეილ დობოროჯგინიძე

ირაკლი ზაქარაძე

რობერტ ფერდმანი

10 ივნისი 2018 წელი

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		27,904,254	14,209,293
მიღებულია ავანსები		1,476,883	244,349
გადახდილი ავანსები		(1,051,137)	-796,875
მიღებულია დებიტორებისგან		10,476,283	8,685,918
გაცემულია ანგარიშვალდებულ პირებზე		(1,628,347)	(394,632)
გაცემულია მომწოდებლებზე		(28,724,066)	(16,523,792)
გადახდილი გადასახადები		(602,800)	(48,059)
გადახდილია ხელფასები		(388,074)	(36,855)
გაწეული ხარჯი		(8,749,248)	(5,051,039)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(1,286,252)	288,308
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შვილობილი საწარმოს შეძენა			(66,052)
გაცემულია სესხი		(20,430)	
მიღებული პროცენტი		8,605	2,091
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(11,825.00)	(63,961.00)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხი		275,374	319,603
დაფარულია სესხი		(298,823)	
დაფარულია პროცენტი		(4,608)	
გადახდილი დივიდენდი		(2,616,440)	
მიღებული დივიდენდი		1,816,440.00	

სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(828,057)	319,603
არასაოპერაციო შემოსავალი	2407958	152,420
საკუროსო სხვაობის ხარჯი	(386,504)	(76,324)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მის ექვივალენტებზე	2,021,454	76,096
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ექვივალენტებში	(104,680)	620,046
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	865,383	245,338
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	760,703	865,383

დირექტორები

მთავარი ბუღალტერი

მიხეილ დობოჯგინიძე

ირაკლი ზაქარაძე

რობერტ ფერდმანი

10 ივნისი 2018 წელი

კონსოლიდირებული ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2,583,102	264,832	2,847,934
2016 წლის მოგება			468,014	468,014
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2,583,102	732,847	3,315,949
2017 წლის მოგება			2,769,153	2,769,153
დივიდენდები			(2,637,092)	(2,637,092)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7	2,583,102	864,908	3,448,010

დირექტორები

მიხეილ დობორჯგინიძე

რობერტ ფერდმანი

10 ივნისი 2018 წელი

მთავარი ბუღალტერი

ირაკლი ზაქარაძე

სს „მეტრო ჯორჯია“-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საერთო ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს „მეტრო ჯორჯია“-ს (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის შპს „აჭარა ტური“-ს ფინანსურ ინფორმაციას.

სს „მეტრო ჯორჯია“ დაფუძნდა 2012 წლის 29 მაისს. საქმიანობას ახორციელებს ქ. ბათუმში გოგოლის ქუჩა #1-ში

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- მგზავრთა ადგილობრივი და საერთაშორისო გადაყვანა;

შვილობილი კომპანია შპს „აჭარა ტური“ აწარმოებს ტურისტულ მომსახურებას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე.

1. სს „მეტრო ჯორჯია“-ს ფუნქციონირების პირობები

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებისაგან საანგარიშგებო პერიოდისათვის. საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდეგში - ფასს), რომელიც შედგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ზასს), დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ზასსკ) მიერ, ასევე ინტერპრეტაციები, შემუშავებული ინტერპრეტაციების როგორც ძველი, ასევე ახალი კომიტეტების მიერ.

კომპანია ეწევა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შედგენას საქართველოში მიღებული ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. მოცემული ანგარიშგება სრულად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთა გამოყენება ფართოვდება.

კომპანიას შემუშავებული აქვს სააღრიცხვო პოლიტიკა.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით და ისტორიული ღირებულებით. გადახრა ისტორიული ღირებულებიდან გახსნილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების შესაბამის განაყოფში.

პრაქტიკაში ოპერაციის არსი და სხვა ვალდებულებები, ასევე მოვლენები ყოველთვის არ

სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31

დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

პასუხობენ იურიდიულ ფორმას. კომპანიამ ჩამოაყალიბა და აღრიცხვას აწარმოებს არა მხოლოდ მისი იურიდიული ფორმის შესაბამისად, არამედ მისი შინაარსის და ეკონომიკური არსის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასის მიხედვით ხელმძღვანელობისგან საჭიროებს ანგარიშგებაში შეფასებებსა და წინადადებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების ასახვაზე და ინფორმაციის გახსნაზე პოტენციურ აქტივებსა და ვალდებულებებზე. შეფასების მონაცემები ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ მონაცემებს. ფაქტიური შედეგები განსხვავდება მიმდინარე შეფასებისაგან. ეს შეფასებები გადაიხედება პერიოდულად, აუცილებლობის შემთხვევაში კორექტირდება, ასეთი კორექტირებები აისახება ფინანსური შედეგების შემადგენლობაში იმ პერიოდში, როცა იქნა ცნობილი.

წარდგენის ვალუტა

აღრიცხვა იწარმოება ქართულ ლარებში. ეფუძნება ოპერაციისა და საქმიანობის ეკონომიკურ არსს. კომპანიამ განსაზღვრა ქართული ლარი შეფასების ვალუტად. სხვა ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები განიხილება უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებად. ქართული ლარი წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ტერიტორიაზე.

სს "მეტრო ჯორჯია"-ს ფუნქციონირების პერსპექტივები უახლოეს მომავალში

კომპანია მუშაობს მგზავრთა ადგილობრივ და საერთაშორისო გადაყვანაზე. არსებითად განსაზღვრულია, სამომავლო ოპერაციების და აქტივების განთავსების შესაძლებლობა, რათა უზრუნველყოს ვალდებულების დაფარვა მისი გადახდის ვადის დადგომისას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ სს "მეტრო ჯორჯია" ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავისი ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

2. ძირითადი აღრიცხვის პრინციპები

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება ფასდება შემენაზე ფაქტიური დანახარჯებით, რომელშიც შედის ძირითადი საშუალებების შემენის ღირებულება, შემენაზე დაუბრუნებადი გადასახადები, ასევე პირდაპირი ხარჯები ადგილამდე მოწოდებასთან დაკავშირებით, სამუშაო მდგომარეობაში მოყვანამდე.

შემდგომი დანახარჯები დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ზრდასთან, რომელიც ზრდის სასარგებლო მომსახურების ვადას კაპიტალიზდება. ყველა სხვა დანახარჯი მიეკუთვნება იმ პერიოდის დანახარჯებს, როცა ის იქნა გაწეული.

სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

პროცენტები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების ობიექტებთან, კაპიტალიზდება.

მოგება და ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან ჩაირთვება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოშობის მიხედვით.

პირველდაწყებითი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აღირიცხება დარიცხული ცვეთის გამოკლებით.

კაპიტალურ ინვესტიციებში ჩაირთვება დანახარჯები მშენებლობაზე და ძირითადი საშუალებების რეკონსტრუქციაზე. კაპიტალური ინვესტიციები ფინანსური ანგარიშგების შედგენის მომენტში აისახება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება ყოველთვიურად ექსპლუატაციაში შესვლის მეორე თვიდან, წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისათვის დადგენილია სასარგებლო ექსპლუატაციის ვადების შემდეგი მოსალოდნელი ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფები	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლები
შენობები, ნაგებობები, გადამცემი მოწყობილობები	40-50
ავეჯი და საოფისე მოწყობილობები	4
სხვა	5

იჯარა

იჯარა არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმადაც მეიჯარე, შემოსავლის მიღების მიზნით, გადასცემს მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა გულისხმობს აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. საკუთრების უფლების გადაცემა სავალდებულო არ არის.

მეიჯარის ბალანსში ფინანსური იჯარა აღიარებულ უნდა იქნას აქტივის და შესაბამისი ვალდებულების სახით. აქტივისა და ვალდებულების შეფასება ხდება საიჯარო ქონების რეალური ღირებულებით საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისათვის.

ჩვეულებრივი იჯარის დროს უნდა დაირიცხოს საანგარიშო პერიოდის საიჯარო ხარჯები. ხარჯების აღიარება ხდება სისტემატიურ საფუძველზე. მისი სიდიდე დამოკიდებულია დროის მონაკვეთის ხანგრძლივობაზე, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე იღებს ეკონომიკურ სარგებელს მოცემული აქტივის გამოყენების შედეგად.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში შედის ფულადი სახსრები და

მათი ექვივალენტები, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, სხვა ვალდებულებები და სესხები. მათი აღიარებისა და შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა იხსნება შენიშვნების შესაბამის განაყოფში.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია არ იყენებდა რაიმე ტიპის სვოპ და ფორვარდულ კონტრაქტებს, სავალუტო და საპროცენტო რისკების შემცირებისათვის.

დებიტორული დავალიანება

მიმდინარე დებიტორული დავალიანება ასახულია რეალიზაციის წმინდა ღირებულებაში, რომელიც განისაზღვრება დებიტორული დავალიანების პირველდაწყებითი თანხებიდან საექვო ვალების რეზერვის გამოქვითვით. საექვო ვალების რეზერვი განისაზღვრება დებიტორული დავალიანების პერიოდიზაციის მეთოდით. განისაზღვრება ვადაგადაცილებული საექვო დებიტორული დავალიანებების კოეფიციენტი.

ერთ წელზე მეტი ხნის დებიტორული დავალიანებები ბალანსში ჩაირთვება გრძელვადიანი მოთხოვნების შემადგენლობაში. ასეთი მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის აისახება ნარჩენი ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისაგან. ფულად ექვივალენტებში ჩაირთვება სამ თვემდე დაფარვის მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა გადაქცევა ფულად ფორმაში შეიძლება ადვილად და მათი ღირებულების შეცვლის რისკი მინიმალურია.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წარმოდგენილია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში და შეესაბამება ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებს შესაბამისი წლის ბალანსში.

კაპიტალი

კაპიტალის შემადგენლობაში შედის საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება.

დივიდენდი აისახება, როგორც ვალდებულება და აკლდება საანგარიშო პერიოდის მოგებას მისი გამოცხადების შემდეგ.

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანებები აისახება კომპენსაციის სამართლიანი ღირებულებით, რომელიც მიიღება მომავალში.

ერთ წელზე მეტი ხნის კრედიტორული დავალიანებები ბალანსში აისახება გრძელვადიანი დავალიანებების ნაწილში.

სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)
კრედიტები

კრედიტები აისახება აღიარების მომენტისათვის სამართლიანი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. შემდგომში კრედიტები აისახება ნარჩენი ღირებულებით. სხვაობა მიღებულ სახსრებსა და გადახდილ კრედიტს შორის აისახება გადასახდელ პროცენტად კრედიტის მთელი პერიოდის განმავლობაში. კრედიტზე დარიცხული პროცენტები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის სახით.

12 თვეზე მეტი ხნის საკრედიტო ვალდებულებები ბალანსში აისახება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის განხორციელების თარიღისათვის ვალუტის კურსის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად. ფულადი აქტივები და ვალდებულებები ნომინირებული უცხოურ ვალუტაში გადაიანგარიშება ლარებში გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც დადგენილია ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. ფინანსური შედეგი საკურსო სხვაობიდან აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როცა წარმოიქმნა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლის კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა: 1 აშშ დოლარი უდრიდა 2,5922 ლარს, 1ევრო – 3.1044 ლარს, 1 თურქული ლირა - 0,6874 ლარს

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როცა არსებობს ეკონომიკური სარგებლის მიღების საიმედოობა, რომელიც მომავალში მიიღება. შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა.

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როცა გადაეცემა არსებითი რისკები და სარგებელი, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივთან.

ხარჯები

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება აისახება შესატყვისი შემოსავლის მიღების შესაბამისად.

სხვა გასავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღსა და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღს შორის პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები, რომლებიც შეიცავენ დამატებით

სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31

დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო რომელიც არ ახდენს გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე აისახება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ ასეთი არსებობს საერთოდ.

ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად სავალდებულოა შემდეგი ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტების გამოყენება 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისათვის.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში
შესული სს "მეტრო ჯორჯია"-ს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შემოსული 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები სს "მეტრო ჯორჯია" ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. სს "მეტრო ჯორჯია"-მ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

- ცვლილებები ბასს 7 ში სახელწოდებით Disclosure Initiative (გამოშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებების სტანდარტში, ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და მომდევნო პერიოდებს, რომელიც მოითხოვს კომპანიების მიერ ინფორმაციის გამჟღავნებას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის, იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც წარმოიშვა კომპანიაში ფინანსური აქტივობებიდან. ზემოთ აღნიშნულს არ ექნება მატერიალური გავლენა სს "მეტრო ჯორჯია"-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილება ბასს 12 გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის არარეალიზებული ზარალისთვის (გამოშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებები ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს, რომ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი - დაკავშირებული სავალო ვალდებულებებით გამოწვეულ არარეალიზებულ ზარალთან უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით, პრაქტიკაში განსხვავების დასაფიქსირებლად. სავარაუდოა, რომ ზემოთ აღნიშნულს არ ექნება გავლენა სს "მეტრო ჯორჯია"-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოიცა 2014 წლის ივლისში) - ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (და ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა

და შეფასებისთვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვის და აღიარების შეწყვეტისათვის.

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავალში) იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური ვალდებულებებისთვის, ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში), გარდა იმ შემთხვევისა თუ აღნიშნული იწვევს სააღრიცხვო შეუსაბამობას.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელს, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის, ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ ანგარიშგებებში უკეთ აისახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესაც ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის ჰეჯირება.

აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-დან.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ფასს 9 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ გავლენა ექნება ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

- ფასს 15 „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ (გამოიცა 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს (იმკ 31 და ფაისკ 13, 15 და 18). იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და

ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად იქნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ. როდის ხდება შემოსავლის აღიარება ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები და სხვ.) აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს 17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდები უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა, ისე რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებული აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები თავდაპირველად აღრიცხება შესყიდვის დღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად.

ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი თანხა (ან სხვა სახის ანაზღაურება) აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების იმ სამართლიან ღირებულებას, რომელიც მათ ჰქონდათ შესყიდვის მომენტში, აღიარდება კონსოლიდირებულ ბალანსში, როგორც გუდვილი. შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება არის სხვაობა შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და შეძენილი

სს „მეტრო ჯორჯია“-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

იდენტიფიცირებადი ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების ჩათვლით, სამართლიან ღირებულებას შორის შესყიდვის მომენტისათვის. თუ შეძენისას გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

წილი შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი ანგარიშგების თარიღისათვის წარმოადგენს უმცირესობაში მყოფ აქციონერთა წილს შვილობილ კომპანიის იდენტიფიცირებადი ნეტო აქტივების სამართლიან ღირებულებაში, შესყიდვის დღისათვის, რასაც ემატება მათი წილი კაპიტალის ცვლილებაში შესყიდვის დღის შემდეგ. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია უმცირესობის წილზე არ აღემატება უმცირესობის წილს შვილობილ კომპანიის კაპიტალში, თუ უმცირესობის წილის მფლობელებს არა აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი ნაწილდება ჯგუფზე.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირების ტრანზაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან ელიმინირებულია (გაქვითულია).

შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შვილობილ კომპანიას

2017 წლის 31 დეკემბერი,

შვილობილი	წილი, %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
შპს „აჭარა ტური“	100	საქართველო	19.10.2006	ტურისტული მომსახურება	22.07.2015

სს „მეტრო ჯორჯია“-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)
1. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები
კონსოლიდირებული

	მიწა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონება	სატრანსპორტო საშ. აქსესუარები	ჯამი
ისტორიული ღირებულება								
31 დეკემბერი 2015		605,872	1,180	126,206	5,627,279	27,912		6,388,448
მიღება	171,382		2,809	105,771	1,624,356	228,928	25,461	2,158,707
საკუთარი ძალით შექმნილი								-
გასვლა				(2,669)	(95,000)	(3,240)		(100,909)
კაპიტალიზაცია								-
31 დეკემბერი 2016	171,382	605,872	3,989	229,308	7,156,635	253,600	25,461	8,446,247
მიღება		480,706	73,319	124,638	53,402	3,467	3,904	739,436
საკუთარი ძალით შექმნილი						281,315		281,315
გასვლა			(76,128)	(175,560)	(1,765,256)	(483,010)		(2,499,954)
შიდა მოძრაობა								-
კაპიტალიზაცია	-			-	-		-	-
31 დეკემბერი 2017	171,382	1,086,578	1,180	178,385	5,444,782	55,372	29,365	6,967,044
აკუმულირებული ცვეთა								
31 დეკემბერი 2015	-			(22,712)	(888,501)			(911,213)
ცვეთა	-	(20,196)	(405)	(36,843)	(914,322)	(5,287)	(2,820)	(979,873)
31 დეკემბერი 2016	-	(20,196)	(405)	(59,555)	(1,802,823)	(5,287)	(2,820)	(1,891,086)
ცვეთა	-	(32,430)	(382)	(40,029)	(987,254)	(7,751)	(6,609)	(1,074,455)
31 დეკემბერი 2017	-	(52,626)	(787)	(99,584)	(2,790,077)	(13,038)	(9,429)	(2,965,541)
Net book value								
31 დეკემბერი 2016	171,382		3,584	169,753	5,353,812	248,313	22,641	6,555,161
31 დეკემბერი 2017	171,382		393	78,801	2,654,705	42,333	19,936	4,001,503

კომპანიის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები არ არის დაგირავებული და
იპოთეკით დატვირთული.

მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში

სს „მეტრო ჯორჯია“ ფლობს 100 %-იან წილს შპს „
აჭარა ტურ“-ში, წილობრივი მონაწილეობა შეადგენს 1 100 000 ლარს. 2017 წელს სს

სს „მეტრო ჯორჯია“-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

„მეტრო ჯორჯია“-მ გაყიდა წილები სს „მეტრო ჯორჯია პეტროლი“-ს და METRO GEOTURIZM SEYAHAT LTD. ბალანსის შედგენის თარიღისათვის ფლობდა წილს მხოლოდ შპს „აჭარა ტურ“-ში.

2. საბალანსო აქტივები

მოთხოვნები 2017 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

<u>მოთხოვნები დებიტორული დავალიანებიდან</u>	31.12.2017	31.12.2016
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1570250	668818
სხვა მოთხოვნები	458813	333036
მოთხოვნები თანამშრომლებზე	123179	4296
მისაღები პროცენტი	3906	
	2156148	1006150

კომპანია ახდენს ანალიზურ აღრიცხვას დებიტორული დავალიანებების მიხედვით. დებიტორული მოთხოვნები მიმდინარეა.

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია სამართლიან ღირებულებად.

ჯგუფს არ გააჩნია სავაჭრო მოთხოვნებზე რეზერვის შექმნის საჭიროება, რადგან ისტორიულად არ დამდგარა დებიტორების გაუფასურების შედეგი.

გაცემული სესხები

2017 წლის 1 თებერვალს გაცემულია გრძელვადიანი სესხი ADJARA BOAT-ის მიმართ ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, წლიური 12%. ბალანსის შედგენის თარიღისათვის ნაშთი სესხზე შეადგენს 53236 ლარს.

3. მარაგები

მასალების ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურება:

<u>მარაგები</u>	31.12.2017	31.12.2016
ნედლეული და მასალები	171770	319632
გასაყიდი სატ. საშ (ავტობუსები)	672473	448315
სხვა (საწვავი)	13986	7949
	858229	775896

მარაგები არ არის დაგირავებული.

სს „მეტრო ჯორჯია“-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

4. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	31.12.2017	31.12.2016
ნაღდი ფული სალაროში	118256	58259
ფული საბანკო ანგარიშებზე	642446	807124
	760702	865383

ბალანსში ასახული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეესაბამება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ასახული ფულადი სახსრების ნაშთებს.

5. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ვალდებულება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31.12.2017	31.12.2016
<i>ვალდებულება მიწოდ. და მომსახურებიდან</i>	<i>5372130</i>	<i>6805217</i>
კრედიტორული დავალიანებები	4951477	6339990
ავანსები	327353	123647
სხვა	93302	341581
ხელფასი	23827	183331
	5395958	6988548

ბალანსის შედგენის თარიღისათვის ერიცხება გადასახადელი ხელფასის სახით 23 827 ლარი. საანგარიშგებო პერიოდში დაიფარა გასულ წელს არსებული სახელფასო დავალიანებები.

მსხვილი კრედიტორული დავალიანება თანხით 4 191 419 ლარის ოდენობით წარმოადგენს ვალდებულებას სს „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“-ს მიმართ მეტროს ავტობუსების შეძენასთან დაკავშირებით.

6. სასესხო და საპროცენტო ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არც სს „მეტრო ჯორჯია“-ს და არც შპს „აჭარა ტურ“-ს არ ერიცხება სასესხო და საპროცენტო ვალდებულებები

7. კაპიტალი

სს „მეტრო ჯორჯია“-ს დამფუძნებელი პარტნიორები არიან:

- სს მეტრო ავრასია ჯორჯია 1 100 000 (50 %)
- მიხეილ დობორჯგინიძე - 550 000 (25 %)
- რობერტ ფერდმანი - 550 000 (25 %)

სს „მეტრო ჯორჯია“-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

საზოგადოების დივიდენდების განაწილების პრინციპი განისაზღვრება პარტნიორთა მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე საზოგადოების სამუშაო კაპიტალის, კაპიტალური დანახარჯების, დავალიანებისა და სხვა ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით.

2017 წელს მოხდა დივიდენდის განაწილება პარტნიორთა შორის. მიხეილ დობორჯგინიძესა და რობერტ ფერდმანზე განაწილდა დივიდენდი შპს „აჭარა ტური“-სგან 2016 წლამდე მიღებული მოგებიდან, ხოლო სს მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯიაზე გაიცა ავანსად.

8. ამონაგები და ხარჯები

სს „მეტრო ჯორჯია“ შემოსავლების დარიცხვას ახდენს დარიცხვის მეთოდით ბასს სტანდარტების შესაბამისად. რეგისტრირებულია გადამხდელად და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 445410635.

გადავადებული შემოსავლის სახით აღრიცხულია შპს „აჭარა ტური“-ს მიმართ წინასწარ გაკეთებული ჯავშნები ტურისტულ პაკეტთან დაკავშირებით.

8.1.ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
თანამშრომლებზე		
გაწეული ხარჯი	3542229	1845683
ცვეთა	1079359	990700
საგადასახადო ხარჯი	62241	52274
წარმომადგენლობითი	9628	10091
საიჯარო ქირა	1660492	359687
საერთაშორისო		
გადაყვანის ხარჯი	3095520	3181971
კომუნალური და სხვა		
ხარჯები	8349249	2665273
	17798718	9105679

პერსონალის ხარჯები	2017	2016
--------------------	------	------

სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ხელფასები	3,199,314	1,737,514
ბონუსები	247,589	13,300
პრემიები	95,326	94,869
თანშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა სხვა		
სულ პერსონალის ხარჯები	3,542,229	1,845,683

ხელმძღვანელობის ანაზღაურება

ხელმძღვანელობას წლის მანძილზე მიღებული აქვს შემდეგი ანაზღაურება

	2017	2016
ხელფასი	275,518	248,210
პრემიები	13,281	7,421
ბონუსები	26,886	-
სულ:	315,685	255,631

გარიგებები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა ხელფასებში, მოცემულია ქვემოთ:

	2017	2016
ხელფასები და ბონუსები	2,633,476	934,106
სულ:	2,633,476	934,106

8.2. ფინანსური ხარჯები

ფინანსური ხარჯები	2017	2016
ზარალი საკუროსო სხვაობიდან	181981	475159
საპროცენტო ხარჯი	290	15

სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

სხვა არასაოპერაციო		
ხარჯი	542886	82250
უსასყიდლო		
მიწოდება	113736	8636
ვალის პატიება	17797	
	856690	566060

1. ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

საქართველოში დამკვიდრებულია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შედგენა პირდაპირი მეთოდით. სს "მეტრო ჯორჯია" ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ადგენს პირდაპირი მეთოდით. ანგარიშგებაში დაკორექტირებულია ყველა მუხლი.

2. ფაქტიური და პოტენციური ფინანსური ვალდებულებები

საგადასახადო სისტემა

საქართველოში მოქმედებს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ადგენს სამართლებრივ მექანიზმებს გადასახდების დარიცხვასა და გადახდასთან. ძირითადი გადასახადები, რომლებიც ამოიღება საქართველოში არის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან, დღგ, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და სხვა გადასახადები.

საგადასახადო დეკლარაციის შედგენის სისწორე მოწმდება საქართველოს სხვადასხვა სახის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის საქმიანობა ხორციელდება კანონთან სრულ შესაბამისობაში. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შედარებით გაურკვევლობა ამა თუ იმ გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით, დარიცხვები ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

იურიდიული ვალდებულებები

სს "მეტრო ჯორჯია"-ს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში არა აქვს რაიმე სახის სამართლებრივი დავა.

დაზღვევა

სს "მეტრო ჯორჯია" არ იყენებს პროფესიული დაზღვევას.

1. ფინანსური რისკების ფაქტორი

ფინანსური რისკ-მენეჯმენტი

კომპანიაში გასათვალისწინებელია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკები. რისკების მნიშვნელოვანი სახეებია საბაზრო რისკი, საკრედიტო

სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ასევე გასათვალისწინებელია მის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები.

ფინანსურ რისკთან დაკავშირებული კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები შემდეგია:

	2017	2016
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები (ნაღდი ფულის ჩათვლით)	760,702	865,383
სავაჭრო მოთხოვნები	1,570,250	668,818
მოზიდული სახსრები		
კრედიტორული დავალიანებები	4,951,477	6,339,990
	7,282,429	7,874,191

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტაში გამოსახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის სავალუტო რისკზე, მოცემულია ცხრილში გამოსახული ლარებში:

2017 წელი	GEL	USD	TRL	EUR	სულ
ფინანსური აქტივები	GEL	USD	TRL	EUR	
ფული და ფულადი ექვივალენტები	191,858	206,624	350		760,702
სავაჭრო მოთხოვნები	1,570,250				1,570,250
სულ ფინანსური აქტივები	1,762,108	206,624	350	-	2,330,952
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები					
კრედიტორული დავალიანებები	4,951,477				4,951,477
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,951,477	-	-	-	4,951,477

2016 წელი	GEL	USD	TRL	EUR	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულადი ექვივალენტები	350,428	210,989			865,383
სავაჭრო მოთხოვნები	668,818				668,818
სულ ფინანსური აქტივები		210,989	-		

სს "მეტრო ჯორჯია"-ს კონსოლიდირებული
 ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31
 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	1,019,246		1,534,201
ფინანსური ვალდებულებები			
სესხები			
კრედიტორული დავალიანებები	6,339,990		6,339,990
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,339,990	-	6,339,990

სს "მეტრო ჯორჯია"-ს ოპერაციები ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები ძირითადად ლარზე ხორციელდება. ასეთი სიტუაცია იწვევს საკუროსო სხვაობის ცვლილებით გამოწვეული რისკების არარსებობას.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ამოცანაა შეინარჩუნოს ბალანსი უწყვეტი დაფინანსებისა და კრედიტის პირობების გამოყენების მოქნილობაში, რომელიც წარდგება მომწოდებლებისა და ბანკების მიერ. სს "მეტრო ჯორჯია" ახდენს დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და გეგმავს მის ლიკვიდურობას შესასრულებელი ვალდებულებების ვადების შესაბამისად. არასაკმარისი ლიკვიდურობის პირობებში მოიზიდავს დამატებითი დაფინანსების წყაროებს.

საკრედიტო რისკი

საანგარიშო წელს კომპანიას არ გაუკეთებია დებიტორული დავალიანებების საკრედიტო რისკების შესწავლა. რაც გამოიხატება იმაშიც, რომ არა აქვს შექმნილი საექვო ვალების რეზერვი. შესაბამისად არის მოსალოდნელი ამ ტიპის ზარალის მიღების ალბათობა.

2. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენები სს "მეტრო ჯორჯია"-ში არ მომხდარა.

სს „მეტრო ჯორჯია“

2017 საანგარიშო წლის კონსოლიდირებული საქმიანობის მიმოხილვა

ბათუმი
2018

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია	3
1.1. კომპანიის შესახებ.....	3
1.2. დარგის მიმოხილვა	3
2. 2017 წლის საქმიანობის მიმოხილვა	4
2.1. საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები	4
2.2. საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა	5
2.3. საზოგადოების აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი.....	6
2.4. საზოგადოების შვილობილი საწარმო და მისი ფინანსური მაჩვენებლები	7
3. საწარმოს განვითარების პერსპექტივები	9
3.1. მომავალი პერიოდების აქტივობები.....	9
4. საწარმოს რისკები	10
4.1. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა	10
4.2. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა.....	11

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. კომპანიის შესახებ


სააქციო საზოგადოება „მეტრო ჯორჯია“ (შემდგომში „საწარმო“) წარმოადგენს „მეწარმეთაშესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრირებული იურიდიული პირი. საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა 2012 წლის 29 მაისს სსიპსაჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დამიენიჭსა და დენტიფიკაციონომერი 445410635. საწარმოს იურიდიული დაფაქტობრივი მისამართია - ქ. ბათუმი, გოგოლის ქ. 1. საწარმოს დამფუძნებლებს წარმოადგენს ფიზიკური პირები - მიხეილ დობორჯგინიძე (პ/ნ 61001007106), რომელიც ფლობს კომპანიის 25 %; რობერტ ფერდმანი (61001008433), რომელიც ფლობს კომპანიის 25 %; იურიდიული კომპანია - სს მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია (ს/ნ 404392359), რომელიც ფლობს კომპანიის 50 % -ს.

საწარმოს საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს მგზავრთა გადაყვანა, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ. კომპანიამ პირველი გადაყვანა 2014 წლის 20 ოქტომბერს შეასრულა და დღემდე ასრულებს.

1.2. დარგის მიმოხილვა

საქართველოში ტურიზმის, როგორც დარგი წლიდან წლამდე ვითარდება. ამის ნათელი მაგალითია ტურისტების ზრდა ბოლოს 4 წლის მანძილზე. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (www.gnta.ge) მონაცემებით 2014-2017 წლებში საქართველოში შემოვიდა 26,8 მილიონი სტუმარი, ხოლო ამავე პერიოდში აჭარაში მოგზაურთა რაოდენობა სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით შეადგენდა 5,4 მილიონ სტუმარს. ამასთან ერთად ჩვენი მომხმარებელები ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობაა, რომელთა ნაკადი წლიდან წლამდე იზრდება.

უცხოელი ტურისტების რაოდენობა 2014-2017



ყოველწლიურად მზარდი ნაკადის გამო წლიდან წლამდე ვითარდება მგზავრთა გადაყვანის ბაზარი. ჩვენს გარდა ბაზარზე მგზავრთა გადაყვანას ეწევა შემდეგი კომპანიები: ბექა ტური, ლუქს კარადენიზი, ევრობუს, ჯორჯიან ბას, საქართველოს რკინიგზა და სხვა.

2. 2017 წლის საქმიანობის მიმოხილვა

2.1. საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

საზოგადოების 2017 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

(ლარი)

	2016	2017	ცვლილება %
ამონაგები	7 129 224	8 703 688	18%
სხვაშემოსავალი	534 240	2 144 043	301 %
შესყიდული მომსახურებები	(1 648 436)	(3 033 608)	84 %
შრომის ანაზღაურება	(1 087 344)	(1 157 593)	(6 %)
კომუნალური ხარჯები	(48 400)	(51 625)	(6 %)
ცვეთა და ამორტიზაცია	(946 767)	(1 026 035)	(8 %)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(3 567 493)	(4 847 573)	(36 %)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(474 129)	(175 399)	37 %
მოგება/ზარალი	(109 105)	555 898	

2017 წელს მგზავრთა გადაყვანის (სატრანსპორტო მომსახურება) შედეგად მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 8 703 718 ლარი, რაც 1 572 922 ლარით მეტია 2016 წელთან შედარებით.

ამონაგები 2017 წელს გაიზარდა შემდეგი ძირითადი ფაქტორების შედეგად:

1. ფასების რეგულირება სეზონის პროპორციულად;
2. ახალი ავტობუსების დამატებით;
3. დამატებითი რეისები;

რაც შეეხება ხარჯებს, 2017 წელს გაიზარდა თვითღირებულების კომპონენტები, როგორიცაა შესყიდული მომსახურებები და შრომის ანაზღაურება. თანამშრომლების შტატის და შრომის ანაზღაურების ზრდა, პიარ და სარეკლამო ხარჯების ზრდა, ასევე გაიზარდა საწვავის ფასი.

№	ხარჯის დასახელება	ტარიფი 2016 წელს	ტარიფი 2017 წელს
1	დიზელი	1 ლტ = 1,47 ლარი	1 ლტ = 2,09 ლარი

2.2. საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

ლარი

	2016	2017	ცვლილება %
არასაბრუნავი აქტივები	6597570	4041515	(38.74)
საბრუნავი აქტივები	775896	858229	10.6
სულ აქტივები	10688734	8 981760	(28.14)
მოკლევადიანი ვალდებულებები	6988548	5420607	22.0
საგადასახადო ვალდებულებები	90731	113143	(25.0)
გრძელვადიანი სესხი	290708	0	100.0
გადასახდელი პროცენტი	2798	0	100.0
აკუმულირებული მოგება/ზარალი	468014	864908	85.0
სულ საკუთარი კაპიტალი	3315948	3448010	4.0
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	10 688 734	8 981 760	286.0

საზოგადოების საბრუნავი აქტივები გაიზარდა 82 333 ათასი ლარით, ძირითადად, მარაგების შემცირების და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირების გამო.

2.3. საზოგადოების აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი

2017 წლის ბოლოს სს“მეტრო ჯორჯია“-ს აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 8 981 760 ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე შემცირდა 1 706 974 ლარით, ძირითადად, არასაბრუნავი აქტივების შემცირების ხარჯზე.

საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2016	31.12.2017
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.117	0.137
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.090	1.001
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.207	1.141

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2017 წლის შედეგების მიხედვით გაიზარდა 0.117-დან 0.137-მდე. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებისათვის გაუარესდა მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა, რაც განპირობებული იყო საზოგადოების ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტმა შეადგინა 1,001. მოცემული მაჩვენებლის შემცირება ასევე გამოწვეული იყო ფულადი სახსრების და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდით.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირდა 0,207-დან 1,141-მდე. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს საწარმოს უნარის შემცირებას განახორციელოს ანგარიშსწორება მიმდინარე ვალდებულებების შესაბამისად. მაჩვენებლის შემცირება ასევე განპირობებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებით და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდით.

საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2016	31.12.2017
ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	0,7789	0,7491
სასესხო და საკუთარი სახსრების თანაფარდობა	1,699	0

2017 წელს ბალანსის ვალუტაში საკუთარი კაპიტალის წილი (ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი) გაიზარდა და შეადგინა -0,53. საზოგადოების სასესხო და საკუთარი კაპიტალის ფარდობა შემცირდა და შეადგინა -2.42. მაჩვენებლები გაანგარიშებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად ანგარიშგების მონაცემების თანახმად.

2.4. საზოგადოების შვილობილი საწარმო და მისი ფინანსური მაჩვენებლები.

საზოგადოება შპს „აჭარა-ტურის“ 100 % წილის მფლობელია, რომელიც წარმოადგენს „მეწარმეთაშესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრირებული ურდიულპირს. საწარმომსახელმწიფორეგისტრაციაგაიარა 2006წლის 23 იანვარსბათუმის საოლქო საგადასახადო ინსპექციისმიერდამიენიჭასაიდენტიფიკაციონომერი 245549027. საწარმოსიურიდიულიდაფაქტობრივიმისამართია - ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. 32/48.

სს „მეტრო ჯორჯია“ შპს „აჭარა-ტურ“-ში 100 % წილს ფლობს 2015 წლის 22 ივლისიდან.

შპს „აჭარა-ტური“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს - ტურ-ოპერატორების საქმიანობები, რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები, სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით.

კომპანია ყოველწლიურად აფორმებს სხვადასხვა ქვეყნის ტუროპერატორებთან ხელშეკრულებას, ტურისტების ორგანიზებულ შემოყვანაზე და მათთვის ტურისტული პაკეტის მიწოდებაზე.

საზოგადოების 2017 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

(ლარი)

	2016	2017	ცვლილება %
ამონაგები	7 650 125	20 947 992	173
სხვაშემოსავალი	242 165	1 220 938	404
პირდაპირი ხარჯი	-3 616 149	-7 642 206	(53)
კომერციული ხარჯი	-7 689	-58 724	(663)
ადმინისტრაციული ხარჯი	-3 488 351	-11 570 871	(232)
ფინანსური ხარჯები	-92 330	-683 074	(591)
განსაკუთრებული ხარჯები	-110 653	-800	
მოგება/ზარალი	577 118	2 213 255	

შპს „აჭარა-ტური“ 2016 წლის 01 სექტემბრიდან 2017 წლის 01 ოქტომბრამდე მართველობაში ფლობდა სასტუმრო ინტურისტ პალასს, რამაც საშუალება მისცა კომპანიას უფრო მეტი ტურისტი მიეღო და ამავდროულად სასტუმროს მართვაში გამოცდილება შეეძინა.

კომპანიის სამომავლო გეგმებია წლის დაბალ სეზონზე (თებერვალი, მარტი, აპრილი) გააფორმოს სხვადასხვა ტიპის სასტუმროებთან გარანტირებულ ოთახებზე ხელშეკრულება, რაც მიცემს საშუალებას დაბალ სეზონზე წინასწარ აღებული ნომრების სარფიანად გაყიდვას.

ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია კომპანიის საქმიანობაში ავია ბილეთების რეალიზაცია და საზღვარგარეთის ტურები.

*ავია ბილეთების რეალიზაცია ფინანსური მაჩვენებლით, ერთობლივი შემოსავლის 15 % - ია. დღეის მდგომარეობით აჭარის ტერიტორიაზე მყოფ სამორინე-კაზინოების 70 % მომსახურებას ჩვენ ვუწევთ. აღნიშნული გამომდინარეობს კომპანიის ფინანსური სტაბილურობით, 24 საათიანი მომსახურებით, გენერალურ პარტნიორებთან ფასდათმობებით და კონფიდენციალურობით.


* წლიდან წლამდე ხდება უცხოურ კომპანიებთან ხელშეკრულებების გაფორმება და იმ ელექტრონული გასაღების მიღება, რომელიც საშუალებას მოგვცემს სხვადასხვა ქვეყანაში სასტუმროების დაბალ ფასში აღებას.

ამ ეტაპზე კომპანია ფლობს 5 სხვადასხვა ფილიალს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩვენი მომსახურების ფართო სპექტრისათვის მიწოდებას.

საწარმოს საქმიანობის არაფინანსური მაჩვენებლები

მგზავრთა ნაკადის მატება ემთხვევა საზღვაო სეზონს, რომელიც იწყება მაისში და მთავრდება ოქტომბერში. მგზავრთა რაოდენობა პიკს აღწევს აგვისტოს თვეში.

2017 და 2016 წლების მგზავრების დინამიკა იხილეთ დიაგრამაზე:



3. საწარმოს განვითარების პერსპექტივები

3.1. მომავალი პერიოდების აქტივობები

საწარმოს განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საწარმოს შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საწარმოს მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- საწარმოს განვითარება არსებული ბიზნესის მომიჯნავე მიმართულებებში.
- მგზავრთა გადაყვანის სხვადასხვა მიმართულების დამატება, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საზღვარგარეთ.

4. საწარმოს რისკები

4.1. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს:

დარგობრივი რისკები. დარგობრივი რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს:

- ეკოლოგიური რისკები;
- სატრანსპორტო რისკები;
- პოლიტიკური რისკები;
- კონკურენციის გაძლიერების რისკები;
- სამეურნეო ხელშეკრულებების შეუსრულებლობის რისკები;
- ტექნიკური რისკები.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან.

აჭარის რეგიონისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, რაც ზემოქმედებას ახდენს „მეტრო ჯორჯია“-სთვის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობასა და ოპერაციების რენტაბელურობაზე, ძირითადად ხელსაყრელია. რეგიონში არ არსებობს შესაძლო სამარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდის უნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი

დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

პერიოდი	ვალუტა	კურსი
31.12.16	USD	2.6468
31.12.17	USD	2.5922

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე სს „მეტრო ჯორჯია“-ს მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები.სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

4.2. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა

რისკებისშიდაკონტროლის დამართვის სისტემა,რომელიცდაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში;

სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

უფლებები და ვალდებულებები – საზოგადოება უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;

შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორიცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.
3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).

რობერტ ფერდმანი

/-----/

მიხეილ დობორჯგინიძე

/-----/

ქ. ბათუმი, 2018 წლის 20 სექტემბერი

სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

უფლებები და ვალდებულებები – საზოგადოება უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;

შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორიცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.

3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).

რობერტ ფერდმანი

მიხეილ დობორჯგინიძე



ქ. ბათუმი, 2018 წლის 20 სექტემბერი